

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური დასაქმების
ფორუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია

მაია ბეჭვია
თამარ თურმანიძე
ნატო დურგლიშვილი
სალომე ჩიბუხაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საზოგადოებასთან ურთიერთობის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

მედია, ჟურნალისტიკა და კომუნიკაცია:პრაქტიკა, კვლევა, მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით პაიჭაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2015

სარჩევი

აბსტრაქტი	2
შესავალი.....	Error! Bookmark not defined.
1. კვლევისმეთოდები	Error! Bookmark not defined.
1.1 თვისებრივიკვლევა.....	Error! Bookmark not defined.
1.2. რაოდენობრივიკვლევა	Error! Bookmark not defined.
2.შედეგები	Error! Bookmark not defined.
2.1 თვისებრივიკვლევისშედეგები	Error! Bookmark not defined.
2.2რაოდენობრივიკვლევისანალიზი.....	Error! Bookmark not defined.
3.დასკვნებიდარეკომენდაციები.....	Error! Bookmark not defined.
ბიუჯეტი.....	Error! Bookmark not defined.
დანართები.....	Error! Bookmark not defined.
სტუდენტებისდამოკიდებულება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2014 წლის სტუდენტური დასაქმების ფორუმისადმი	Error! Bookmark not defined.
გამოყენებულილიტერატურისჩამონათვალი	Error! Bookmark not defined.

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დასაქმების ფორუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია“, წარმოადგენს ამავე უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის ორთვიან გეგმას. წინამდებარე ნაშრომის ძირითადი მიზანია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2014 წლის დასაქმების ფორუმში მონაწილე სტუდენტების ამ ფორუმებისადმი დამოკიდებულების გაგება. ასევე საქართველოს კერძო და სახელმწიფო აკრედიტირებული უნივერსიტეტებისა და დასაქმების სააგენტოების PR სამსახურების მუშაობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის გაცნობა. ამავე დროს, რამდენად არის ხელმისაწვდომი და მორგებული სტუდენტებზე ფორუმის სტრუქტურა. საზოგადოებასთან ურთიერთობის მხრივ რა სირთულეები იკვეთება აღნიშნული სამსახურის მუშაობის პროცესში სტუდენტური დასაქმების ფორუმის მიმდინარეობისას და როგორ ხედავენ ამ სფეროს წარმომადგენლები ძირეული პრობლემების გადაჭრის გზებს.

წინამდებარე ნაშრომისათვის საჭირო კვლევის მეთოდოლოგიად შეირჩა, როგორც თვისებრივი (სიღრმისეული ინტერვიუ), ისე რაოდენობრივი მეთოდები (კითხვარი). ნაშრომზე მუშაობისას გამოიკვეთა ის ძირითადი პრობლემები და მიგნებები, რომლებიც გააჩნია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის 2014 წლის სტუდენტური დასაქმების ფორუმისთვის შემუშავებულ სტრატეგიას. კონკრეტულად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისთვის მომავალი დასაქმების ფორუმის გეგმისთვის შემუშავდა რეკომენდაციები.

რაც შეეხება ნაშრომის სტრუქტურას, იგი შესავლის, ძირითადი ნაწილისა და რეკომენდაციებისაგან შედგება. შესავალი წარმოაჩენს თემის აქტუალობას, მის მნიშვნელობას და ისტორიის მოკლე მიმოხილვას. ძირითადი ნაწილი ორ ქვეთავად იყოფა: პირველ თავში საუბარია საკითხის კვლევის მეთოდოლოგიაზე, ხოლო მეორე თავი ნაშრომის შედგენის დროს ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზს ეთმობა, ნაშრომის დასასრულს კი—ის რეკომენდაციებია თავმოყრილი, რომელიც მკვლევართა

ჯგუფმა სპეციალურად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური დასაქმების ფორუმისთვის შეიმუშავა კვლევის ანალიზზე დაყრდნობით.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: საზოგადოებასთან ურთიერთობა, სტრატეგია, დასაქმება, ფორუმი, სტუდენტები, კამპანია, სიღრმისეული ინტერვიუ.